№41(42) 18.10.199

სარგიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ვეტერანი ჭაბუკის გულით

გაიცანით: სერჟ ბლანკო — მორაგბე, ბიზნესმენი

მე-3 გვერდი

„დიდი დიქტატორი“ „ბარსელონის“ ტყვეობაში

კრუიფს არ უნდა მეორე ინფარქტი

მე-4 გვერდი



თამაშების პირველი ოქროს მედლის მფლობელი დიანა ჩოგოვაძე (მარცხნივ).

სინქრონისტთა ინდივიდუალურ ტურნირში გამარჯვებული ტატიანა მენაბდე.

იმერეთისა და შიდა ქართლის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი

სინქრონულ ცურვაში გამარჯვებული ელისო მარგველაშვილისა და ტატიანა გუტიაკულოვას წყვილი.

კენტავრი წინ მიიწევს!

სამწუხაროა, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დარად საქართველოს რესპუბლიკის პირველი სპორტული თამაშების ლოგიკური დაგვირგვინება არ იქნება უფლიერეს ათლეტთაგან ოლიმპიადაზე გასაგზავნი ნაკრები გუნდების შედგენა. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთს და „ქართული ოლიმპიადის“ მესვეურებს, რომ ჩვენს არეულ დროში ეს შეჯიბრება საერთოდ ტარდება. ტარდება და არცთუ ურიგოდ, თუმცა ხარვეზები მაინც არსებობს. შეჯიბრება რომ სოლიდურია, ამაზე თუნდაც საპრიზო ფონდი მეტყველებს. შეგახსენებთ, რომ პრიზიორები და მათი მწვრთნელები, დაკავებული ადგილების შესაბამისად ჯილდოვდებიან ათას-ათასი, ექვსას-ექვსასი და ოთხას-ოთხასი მანეთით. მთელს რესპუბლიკაში შეჯიბრების მონაწილეთათვის გამოყოფილია საუკეთესო სპორტული ბაზები. ამის დასამტკიცებლად მარტო დედაქალაქის - სარბიელთა ჩამოთვლაც იკმარებს: სპორტის სასახლე, ეროვნული სტადიონი, ვაკის საცურაო აუზი, ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსი და სხვა. როგორც აღვნიშნეთ არის ხარვეზებიც. მაგალითად 13 ოქტომბერს ვაკის აუზში, პროგრამით გამოცხადებულ დროს მისულ „სარბიელის“ კორესპოდენტს, თბილისისა და აჭარის წყალბურთელთა გუნდების შეხვედრა უკვე ჩატარებული დახვდა. სპორტის სასახლეშიც, ფინალური ორთაბრძოლები თავისუფალ ჭიდაობაში გამოცხადებულ დროს არ დაიწყო. საორგანიზაციო საკითხებზე, სხვადასხვა ხასიათის სირთულეებზე საუბარი იყო სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა და რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილემ ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს. ამასობაში კი სპორტსმენები პრიზებს ინაწილებენ. ცენტრალურ საწყლოსნო კოსპლექსში გამართულ ნყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე, ცნობილმა სპორტსმენმა გიორგი ჩოგოვაძემ კოშკიდან ხტომაში ოქროს, ხოლო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მისი მეუღლე დიანა კი უძლიერესი იყო როგორც ერთმეტრიანი ისე სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. სამწუხაროა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა რამდენიმე გამონაკლისის გარდა ძირითადად თბილისელმა სპორტსმენებმა მიიღეს. მოკრივეთა შეჯიბრებაზე, რაპირისტებში სეულის ოლიმპიადის მონაწილე ქართველმა „მუშკეტერმა“ ვლადიმერ აფციაურმა, რომელიც ქვემო ქართლის გუნდის ღირსებას იცავს პირველი ადგილი დაიკავა. რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებას, აქ ქვემო ქართლის გუნდმა პირველობა თბილისელებს დაუთმო. მესამე ადგილზე ერევნის გუნდი გავიდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სპორტულ თამაშებზე საკმაოდ კარგად გამოდიან სომხეთის სპორტსმენები. მათ მეტეორნობაში მიაღწიეს როგორც პირად, ასევე გუნდურ წარმატებებს. წარმატება წარმატებად, მაგრამ სომეხთა მონაწილეობა „ქართულ ოლიმპიადაზე“ თავისთავად სასიამოვნო ფაქტია.

საინტერესო გამოდგა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთ მძიმეწონოსანთა ფინალი. თურმანიძისა და ებანოიძის თორმეტწუთიანი ორთაბრძოლა „უშუდეგოდ“ დამთავრდა. მეტოქეებმა ქულის მოპოვება ვერ შეძლეს, რის გამოც მსაჯებმა ისინი შეაჩერეს და ორივეს „ვერცხლის“ მედლით დაუმშვენეს მკერდი. გუნდური პირველი ადგილი კი შიდა ქართლის ფალავნებმა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ დავით გობეჯიშვილისა და ლერი ხაბელოვის გარდა შეჯიბრებაში ყველა „ვარსკვლავი“ მონაწილეობდა. სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით მოჭადრაკეთა ტურნირზე, რომელიც წყალტუბოში მიმდინარეობს. მოასპარეზე ქალთა შორის მხოლოდ ერთი დიდოსტატია — ქეთევან კახიანი, ბრადა ნამდვილად შეიძლებოდა, რომ მათი რიცხვი მეტი ყოფილიყო. საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშები გრძელდება, ჯერ კიდევ ბევრი გამარჯვებულია გამოსავლენი. ალბათ კვლავ იქნება ხარვეზებიც, მაგრამ ისევ გავიმეორებთ, რაც თავში ვთქვით, მთავარია, რომ შეჯიბრებები ტარდება. კენტავრი წინ მიიწევს!

ილია ბაბუნაშვილი







ინფორმაციული ბლოკადის პირობებში

ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის გულგრილობა მანილაში მიმდინარე მატჩისადმი, ასე თუ ისე, გასაგები უნდა იყოს. მათ არც მაია ჩიბურდანიძის ბედი აინტერესებთ მაინც და მაინც და არც, ბუნებრივია, სე ჯუნისა. არადა ჰადრაკის ფედერაცია, დარწმუნებული ვართ, მაიას გამარჯვებაზე უარს არც ერთ შემთხვევაში არ იტყვის და მას, თუ მატჩი სასურველი შედეგით დამთავრდება, თავის დამსახურებადაც მიიწერს.

ბრძოლის პირველი ნახევარი უკვე ჩათავდა. დაიწყო მისი მეორე ნაწილი, რომელიც ელემენტარული ლოგიკის თანახმად უფრო მძაფრი და დაძაბული უნდა იყოს, სამწუხაროდ ჩვენ, ქართველი დიდოსტატის კანონიერ გულშემატკივრებს უჩვეულო ინფორმაციული ბლოკადის პირობებში არც ჰოს თქმა შეგვიძლია და არც არასი. ერთადერთი ცნობა, რაც მეტ-ნაკლები ოპერატიულობით მოდის მანილიდან გახლავთ ... ანგარიში. აი სწორედ ასე შევიტყვეთ, რომ მეტოქეებს მეშვიდე, მეცხრე და მეათე პარტიები ყაიმით დაუმთავრებიათ, მერვე სე ჯუნს მოუგია და ანგარიშიც გათანაბრებულა — 5:5. ბოლო მეათე პარტიის შესახებ ისიც ცნობილი გახდა, რომ ყაიმი მე-17 სვლაზე დაფიქსირებულია პრეტენდენტის წინადადებით და რომ ეს პარტია მხოლოდ 50 წუთს გრძელდებოდა. სამწუხაროდ რას ნიშანავს ყველაფერი ეს, ვერ გეტყვით.

თუმცა კარგი რომ ანგარიში მაინც ვიცით. არა და ცენტრალური ორგანოების მიმართ რა პრეტენზია შეიძლება გვქონდეს, როცა ორიოდ სიტყვას გულშემატკივრებისთვის მაიას ამალიდანაც კი ვერავინ ვერ იმეტებს. ერთი სიტყვით მატჩი, რომ იტყვიან ჩვენ გავასაიდუმლეთ და ჩვენვე ვიმკით ამ ინფორმაციული ბლოკადის ნაყოფს.

დეკემბერიც მალე მოვა

ქართველ სამბისტებს მსოფლიო ჩემპიონატზე იწვევენ

საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა, როგორც დამოუკიდებელმა გუნდმა, წლეულს პირველად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე. ამჯერად ჩვენს ფალავნებს მსოფლიო ჩემპიონატზე იწვევენ. საქართველოს სამბოს ფედერაციაში ამ დღეებში საფრანგეთიდან წერილი მოვიდა, რომელსაც ხელს აწერს ამ ქვეყნის მოყვარულ სამბისტთა ფედერაციის პრეზიდენტი ეტიენ ლაბრუსი. წერილში კერძოდ ნათქვამია: „ჩვენ გვსურს სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან ერთად, სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე თავიანთი ეროვნული გუნდებით ვიხილოთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების — სპორტში სუვერენულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. არ გვაშინებს ის ამბავი, რომ წინ ვუსწრებთ პოლიტიკურ მოვლენებს, რადგან მიგვაჩნია: სწორედ სპორტსმენებმა უნდა იკისრონ გზის გამკვლევის ძნელი მისია ერებსა და ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და თანაგრძნობის დამკვიდრებაში. ამჟამად ვამზადებთ სამბოს ქარტიას — „სამბო — 2000 წლის სპორტი“. იმედი გვაქვს, რომ მონაწილეობას მიიღებთ ოლიმპიური სამბოს ქარტიის შემუშავებაში. მოგვაწვდით თქვენს მოსაზრებებს, წინადადებებს.

გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა „აკურთხა“ და საუკეთესო სურვილები გამოთქვა შამბურის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით. მოხარული ვართ, თუ ჩამობრძანდებით საფრანგეთში და ეროვნული გუნდით გამოხვალთ ამ შეჯიბრებაზე. ყველა ღონეს ვიხმართ ღირსეულად გიმასპინძლოთ — ისე, როგორც ამას თქვენი ერი იმსახურებს“.

საფრანგეთიდან მოსულ წერილს თან ახლავს ჩემპიონატის პროგრამა და სხვა საცნობარო მასალა. მსოფლიო ჩემპიონატი საკურორტო ქალაქ შამბურში მიმდინარე წლის 5-8 დეკემბერს უნდა გაიმართოს. 21 სექტემბრის მონაცემებით, ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი უკვე 14-მა ქვეყანამ გამოთქვა. მათ საქართველოც შეურთდება. ოღონდ, სურვილთან ერთად აუცილებელია ვალუტაც. იმედია, სპონსორთა დახმარებით ამ პრობლემასაც მოვევლება.

ხის საფარის კორექტივები

ჩოგბურთელთა წლევანდელმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა თითქმის ყველა უძლიერეს სპორტსმენს მოუყარა თავი. მართალია, კორტებზე ლელა მესხი არ გამოსულა, მაგრამ იმ დღეებში თბილისში რომც ყოფილიყო, ჩემპიონატში მის ჩაბმას აზრი არ ექნებოდა, იმდენად დიდია ლელასა და დანარჩენ გოგონებს შორის თამაშის კლასში სხვაობა. ვლადიმერ გაბრიჩიძეს კონტრაქტი აქვს

მაია აბაშიძე

გაფორმებული იტალიის ქალაქ ბერგამოს კლუბთან და ისრაელის კორტებზე იცავდა ახალი გუნდის ღირსებას. გაბრიჩიძის არყოფნაში, ვაჟთა ტურნირის უპირველეს ფავორიტად დინამოელი დავით კაჭარავა ითვლებოდა. მას მართლაც არ გასჭირვებია ფინალამდე მისვლა — სამივე მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა. აი, მეორე ფინალისტს, ირაკლი სვანიძეს („შევარდენი") კი

დავით კაჭარავა

გაცილებით მეტი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. საკმარისია ითქვას, რომ ოთხიდან სამ მატჩში მან მხოლოდ მესამე, გადამწყვეტ სეტში შეძლო მეტოქეთა წინააღმდეგობის დაძლევა.

ნახევარფინალში ირაკლი საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს დავით კვარაცხელიას შეხვდა. ეს ორთაბრძოლაც ძალზე დაძაბულად წარიმართა. ყველაფერს უამინდობაც დაემატა, რის გამოც მეტოქეებმა მესამე სეტი დახურულ კორტზე დაასრულეს. ეს საკმაოდ ხანგრძლივი, კომბინირებული მატჩი საბოლოოდ სვანიძემ მოიგო — 6:3, 6:7, 6:3.

მეორე დღეს ავდრის გამო, ფინალური შეხვედრაც დარბაზში გაიმართა. ხის საფარს, მიწისაგან განსხვავებით, რომელზეც დანარჩენი მატჩები ჩატარდა, მეტად თავისებური არეანი აქვს. ბურთი გაცილებით სწრაფად, ამასთან სულ სხვა კუთხით მოფრინავს და მისი მოგერიება უფრო რთულდება.

გადამწყვეტ შეხვედრაში ბრძოლა, ფაქტობრივად მხოლოდ დებიუტში იყო. თანდათან კაჭარავამ უფრო აუღო ალღო ახალი საფარის ჭირვეულობას — პირველი მოწოდება ზუსტი და შედეგიანი გამოსდიოდა, ბადესთანაც სწორად გადიოდა და ამით ერთიორად ურთულებდა საქმეს მოწინააღმდეგეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა დავით კაჭარავამ იოლად მოიგო ფინალური ორთაბრძოლა — 6:2, 6:1 და მესამედ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. 22 წლის სპორტსმენი ამჟამად დამოუკიდებლად ვარჯიშობს, მისი პირველი მწვრთნელი კი გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გურამ თოხაძე.

უკვე მეორე წელია, რაც კაჭარავაც კონტრაქტით თამაშობს უცხოეთში — გერმანიის ქალაქ-ფარცვაინის კლუბის ღირსებას იცავს. წლეულს დათომ იქაურ სამ ტურნირში იასპარეზა. ორში გამარჯვებას მიაღწია, მესამეში კი ნახევარფინალამდე მივიდა. სწორედ ამ გამარჯვებების წყალობით შეძლო მისმა გერმანულმა გუნდმა მესამედან მეორე ლიგაში გადასვლა.

ანატოლი ახალაძისა და დავით კვარაცხელიას შეხვედრა მესამე ადგილისათვის მთელს ჩემპიონატში გამორჩეულად ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ორივე მხრივ საკმაოდ ტექნიკური, ეფექტური მატჩი 19 წლის ახალაძის („შევარდენი") გამარჯვებით დასრულდა — 7:6, 7:6. საწყენია, რომ ამ ლამაზ ორთაბრძოლას ჩრდილი მიაყენა ზღვარს გადასულმა ემოციურობამ, რისთვისაც მსაჯმა ორჯერ გააფრთხილა კვარაცხელია. ამ მხრივ ზოგიერთი სხვა წამყვანი ჩოგბურთელიც სცოდავდა. ერთი-ორ შეხვედრაში ღრიალისა და ღმუილის გარდა, უხამსი შეძახილები და გინებაც კი გაისმოდა. როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვითხრეს, მეორე გაფრთხილების მიღებისას დამნაშავე ავტომატურად ჯარიმდება 50 მანეთით, მესამედ კი შეჯიბრებიდან იხსნება. ჯარიმით ზემოქმედება ვფიქრობთ, ეფექტური უნდა გამოდგეს. აი, შეჯიბრებიდან მოხსნამდე კი საქმე არ მისულა, თუმცა საამისო მიზეზი მსაჯებს ნამდვილად ჰქონდათ.

აქვე ავღნიშნავთ, რომ მსაჯები პირველად აცხადებდნენ ანგარიშს ქართულად. როგორც იქნა, წლობით დამკვიდრებული „ბოლშე-მენშე" და სხვა ტერმინები ქართული შესატყვისებით შეიცვალა და უფრო სასიამოვნო მოსასმენიც გახდა. გადამწყვეტ ორთაბრძოლებს რესპუბლიკის წამყვანი არბიტრები უძღვებოდნენ. ეს კი შესამჩნევად ზრდის ნებისმიერი ასპარეზობის პრესტიჟს.

ბოლოს წყვილთა შეჯიბრების შესახებ. მაია აბაშიძემ („შევარდენი") ქალთა ფინალში გამარჯვებას წყვილთა შორის მოპოვებული ოქროც მიუმატა თანაგუნდელ ნინო ლუარსაბიშვილთან ერთად. მეორე ადგილზე გავიდნენ ვერიკო თუხარელი და ირმა კულდონაშვილი. მესამე იყო მაია წიწუაშვილისა და ირინე ბახტაძის დუეტი.

ვაჟთა შორის ყველას აჯობეს კვარაცხელიამ („დინამო") და ალექსანდრე სიმონიანმა („შევარდენი"). მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ კაჭარავა - გიორგი მირიანაშვილისა და ლევან გელაშვილი — იოსებ სიამაშვილის წყვილებს.

გია ახალაძე

ავტორის ფოტოები

ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

ესპანეთი — საფრანგეთი 1:2

სევილიაში საფრანგეთის ნაკრებმა მორიგი, მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და გაინაღდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური. აღსანიშნავია, რომ ფრანგებს საერთაშორისო მატჩი ორწელიწადნახევარია არ წაუგიათ.

სტუმრებმა მატჩის ბედი უკვე პირველივე წუთებში გადაწყვიტეს, როცა ორი გოლი გაიტანეს (ფერნანდესი და პაპენი). ესპანელებმა პირველი ტაიმის ბოლოს შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა (ნანდო), მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ 1:2.

ჩეხეთსლოვაკეთი — ალბანეთი 2:1

ჯგუფის საგზურის ბედი რამდენიმე დღით ადრე გადაწყდა და ეს შეხვედრა მხოლოდ პრესტიჟულ ხასიათს ატარებდა.

საფრანგეთი	7	7	0	0	17-5	14
ჩეხეთსლოვაკეთი	7	5	0	2	11-7	10
ესპანეთი	6	2	0	4	15-11	4
ისლანდია	7	2	0	5	6-7	4
ალბანეთი	7	1	0	6	2-21	2

II ჯგუფი

რუმინეთი — შოტლანდია 1:0

ამ შეხვედრაში რუმინეთის ნაკრების გამარჯვებამ სატურნირო ცხრილში უკიდურესი არეულობა შეიტანა — ჯგუფში გამარჯვების თეორიულ შესაძლებლობას 4 გუნდი ინარჩუნებს.

ბუქარესტში მასპინძლები თითქმის არ მოსცილებიან მეტოქის კარს. გამუდმებულმა შეტევებმა შედეგი მატჩის 75-ე წუთზე მოიტანა, როცა შოტლანდიელმა დიურიმ ხელით ითამაშა საჯარიმო მოედანზე და გეორგე ჰაჯიმ ზუსტად დაარტყა პენალტი.

ბულგარეთი — სან-მარინო 4:0

სოფიაში ბულგარეთის ნაკრებმა ადვილად მოუგო სან-მარინოს გუნდს. გოლები გაიტანეს ვალენტინომ (საკუთარ კარში), სტოლიჩკავმა (პენალტით), იანკოვმა და ილიევმა.

ჯგუფში შემდეგი მატჩები 13 ნოემბერს შედგება: შოტლანდია — სან-მარინო, რუმინეთი — შვეიცარია.

შვეიცარია	7	4	2	1	19-6	10
შოტლანდია	7	3	3	1	10-7	9
ბულგარეთი	7	3	2	2	14-7	8
რუმინეთი	6	3	1	2	11-6	7
სან-მარინო	7	0	0	7	1-29	0

III ჯგუფი

სსრკ-იტალია 0:0

ამ შეხვედრას მოსკოვში 100 ათასი მაყურებელი დაესწრო. საბჭოთა ფეხბურთელებმა შესძლეს სასურველი შედეგის მიღწევა და პრაქტიკულად გაინაღდეს პირველი ადგილი. იტალიელები ბევრს ეცადნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მასპინძელთა კართან, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს.

ეს მატჩი შაბათს შედგა, ორშაბათს კი იტალიის ნაკრების შწვრთნელი აბელიო ვიჩინი ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან. ახალი მწვრთნელის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი.

საბჭოთა კავშირის ნაკრებს კვიპროსელებთან დარჩენილ მატჩში ფრუც ყოფნის. მორიგი შეხვედრა კი 30 ოქტომბერს შედგება, როცა უნგრეთის ნაკრები ნორვეგიელებს უმასპინძლებს.

სსრკ	7	4	3	0	10-2	11
იტალია	6	2	3	1	9-4	7
ნორვეგია	6	3	1	2	8-4	7
უნგრეთი	7	2	3	2	10-9	7
კვიპროსი	6	0	0	6	2-20	0

ეროვნული ჩემპიონატი

XI ტური

ცხუმი — მრეტები	2:1	დილა — ამირანი	2:1
ოდიში — გათუმი	1:0	მერცხალი — სამტრედია	2:4
მარგვეთი — კოლხეთი	2:1	მზიური — სულორი	0:0
ბორდა — ჭუთაისი	2:1	შევარდენი — კოლხეთი	2:0
ალაზანი — გურია	0:1	სამგურალი — იბერია	გადადო

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ბორდა	9	8	1	0	22:6	25
2. ცხუმი	9	8	0	1	28:12	21
3. ოდიში	9	7	0	2	14:9	21
4. გურია	9	6	0	3	22:14	18
5. მზიური	9	5	1	3	9:10	16
6. იბერია	7	5	0	2	16:6	15
7. მრეტები	9	4	1	4	15:11	13
8. შევარდენი-06	9	4	1	4	13:11	13
9. დილა	9	4	0	5	11:12	12
10. სამტრედია	9	4	0	5	17:19	12
11. სამგურალი	8	4	0	4	10:13	12
12. კოლხეთი-13	9	3	2	4	11:12	11
13. მარგვეთი	8	3	2	3	11:13	11
14. ჭუთაისი	9	3	1	5	15:17	10
15. ალაზანი	9	3	1	5	8:12	10
16. კოლხეთი	9	2	3	4	12:16	9
17. სულორი	9	2	2	5	9:16	8
18. ბათუმი	9	2	1	6	11:19	7
19. მერცხალი	9	1	2	6	9:20	5
20. ამირანი	9	1	0	8	6:19	3

გაიმართა III ტურის გადადებული მატჩი: ბათუმი — სამტრედია 4:0.

პრობლემას რა გამოლევს

ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს მსგავსად, საქართველოში პოლიტიკური არეულობა ფეხბურთსაც შეეხო. დედაქალაქში შექმნილმა მდგომარეობამ გამოძახილი რაიონებშიც ჰპოვა, რის შესახებაც სახელდახელო ინტერვიუში აზრი გაგვიზიარა ხობის „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა, ელდარ გვასალიამ.

— შეიძლება ითქვას, რომ საწვრთნელი პროცესი ჩაგვეშალა, რადგან გუნდში ბევრი თბილისელი გვყავს და ბუნებრივია, რომ არეულობის დროს ყველამ თავის ოჯახს მიაშურა. ამ ხნის განმავლობაში ფაქტობრივად ექვსი-შვიდი კაცი ვარჯიშობდა — თქვა მან.

— საერთოდ გუნდში რა მდგომარეობა?

— გუნდი დატოვა ორმა ჭირვეულმა რუსმა ფეხბურთელმა, პიმუშინმა და ფედოტოვმა. ასეა, როცა კაცს დიდი გასამრჯელო სურს, ვარჯიში კი არა. ახლა მათ ნაცვლად მოედანზე ახალგაზრდები გამოგვყავს. სამწუხაროდ დებულების გამო კიდევ რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას ვერ ვათამაშებთ.

— „კოლხეთი" ფინანსურად ძლიერია?

— ჯერ-ჯერობით არა. გუნდში ახალგაზრდობა ხელმძღვანელობაა და ალბათ ყველაფერი უახლოეს ხანში გაირკვევა.

— საწვრთნელ პირობებზე რას გვეტყვით?

— ბაზა გვაქვს, მაგრამ მიხედვა უნდა. რემონტს აპირებენ.

— რა არის გუნდის ძლიერი და სუსტი მხარე?

— ძლიერი რგოლია დაცვა, სუსტი — თავდასხმა.

— რას გეგმავთ მიმდინარე ჩემპიონატში?

— კარგი იქნება თუ ათეულში შევალთ. მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც უმაღლეს ჯგუფში დარჩენაა.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი

გაიმართა თასის გათამაშების 1/16 ფინალის განმეორებითი შეხვედრები

[illegible]ნი — სამგურალი 2:2 (2:1)
[illegible]ზიური — მერცხალი (3:4)
საპასუხო შეხვედრაზე „მერცხალი" არ გამოცხადდა
ბახმარო — ამირანი 2:3 (1:3)
გარეჯი — კოლხეთი 1:1 (0:1)
შევარდენი — სულორი 5:1 (1:1)
სალხინო — მაღაროელი 0:1 (1:3)
გორდა — ჭუთაისი 1:3 (1:0)
გუნია — ქართლი 6:0 (5:0)
მრეტები — იბერია 0:4 (1:2)
კოლხეთი-13 — მარგვეთი 1:1 (1:3)
ბათუმი — ალაზანი 6:1 (0:2)
ცხუმი — შევარდენი-1906 4:1 (3:1)
არმაზი-90 — სამტრედია 0:3 (2:2)
ოდიში — ერწუხი 3:1 (0:1)
დილა — საპოვნელა 0:0 (2:4)
დურუჯი — არმაზი 3:1 (1:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი

IV ჯგუფი

ფარერის კუნძულები — იუგოსლავია 0:2

ევროპის ჩემპიონატების დებიუტანტები ფარერელები ისევ თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მასპინძლობენ მეტოქე გუნდებს. ამჯერად, შვეიცის ქალაქ ლანდსკრუნაში იუგოსლავიის ნაკრები მიიღეს. იუგოსლავიელთა უპირატესობა უდავო იყო და მათ საკმაოდ იოლად დაამარცხეს ფარერის კუნძულების გუნდი. გოლები გაიტანეს იუგოვიჩმა (მე-18 წუთზე) და სავიჩევიჩმა (79-ე წუთი).

ჩრ. ირლანდია — ავსტრია 2:1

ამ შეხვედრის მონაწილეებს ჯგუფში გამარჯვების პრეტენზია აღარ აქვთ და აქედან გამომდინარე მატჩის შედეგი სატურნირო ცხრილში ადგილების საბოლოო განაწილებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამდენად თამაში საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს დაუიმ და ბლექმა, სტუმართაგან — ლაინერმა.

ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა 13 ნოემბერს გაირკვევა, როცა დანიის ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიელებს უმასპინძლებს, ხოლო იუგოსლავიელები ავსტრიაში ითამაშებენ.

იუგოსლავია	7	6	0	1	22-4	12
დანია	7	5	1	1	16-6	11
ჩრ.ირლანდია	7	2	3	2	10-9	7
ავსტრია	7	1	1	5	6-12	3
ფარერები	8	1	1	6	3-26	3

V ჯგუფი

გერმანია — უელსი 4:1

ამ მატჩს, რომელიც ნიურნბერგში გაიმართა, გერმანიის ნაკრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლებმა შეხვედრა განსაკუთრებული თავგანწირვით ჩაატარეს, დიდ უპირატესობას მიაღწიეს და მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. უელსის ნაკრებმა გერმანელების დაწოლას მხოლოდ პირველ 35 წუთის განმავლობაში გაუძლო. პირველი ტაიმის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონებმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს (მიოლერი, ვიოლერი, რიდლე) და ფაქტიურად გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი.

მეორე ტაიმის დასაწყისში უელსელები ათნი დარჩნენ — უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევეს სონდერსი. მალე დოლმა გერმანელთა მეოთხე გოლი გაიტანა, ხოლო სტუმრებმა მხოლოდ ერთი გოლი გაქვითვა მოახერხეს (ბოუდინი — პენალტით).

13 ნოემბერს უელსის ნაკრებს ლუქსემბურგის გუნდი მასპინძლობს.

უელსი	5	3	1	1	7-6	7
გერმანია	4	3	0	1	8-4	6
ბელგია	5	2	1	2	7-5	5
ლუქსემბურგი	4	0	0	4	2-9	0

VI ჯგუფი

ჰოლანდია — პორტუგალია 1:0

ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის ბედი ჰოლანდიის ნაკრებისა და ესპანეთის „ბარსელონის“ ნახევარმცველის რიხარდ ვიტსხეს მიერ მე-20 წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. პირველ ტაიმში კიდევ რამდენიმე გოლის გატანა შეეძლოთ. მეორე ტაიმში პორტუგალიელები გამოცოცხლდნენ და სახიფათოდ შეუტიეს მეტოქის კარს. ანგარიშის გათანაბრების ყველაზე რეალური შესაძლებლობა რუი ბარუშს ჰქონდა. მასპინძლებმა შეძლეს მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება და თითქმის გაინაღდეს შვეიცის საგზური. ბოლო მატჩში, რომელსაც ჰოლანდიელები საბერძნეთში ჩაატარებენ, მათ ფრეც აძლევთ ხელს. მანამდე, 30 ოქტომბერს საბერძნეთის ნაკრები ფინელებს უმასპინძლებს.

ჰოლანდია	7	5	1	1	15-2	11
პორტუგალია	7	4	1	2	10-4	9
ფიწეთი	7	1	4	2	5-6	6
საბერძნეთი	4	2	1	1	8-5	5
მალტა	7	0	1	6	1-22	1

VII ჯგუფი

ინგლისი — თურქეთი 1:0

ინგლისის ნაკრებისთვის ეს შეხვედრა საკმაოდ რთული გამოდგა. დაძაბულ და ნერვიულ ბრძოლაში ინგლისელებს გამარჯვება „არსენალის“ თავდამსხმელიმა ბოლო ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ალან სმითის გოლმა მოუტანა. მასპინძლებმა ვერ გაამართლეს გულშემატკივართა იმედები, უფერულად ითამაშეს და კინაღამ ჭულაც დაკარგეს: სტუმართა მოთამაშეს უნალს ანგარიშის გათანაბრების შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა. სათინალო სასტვენის შემდეგ ტრიბუნაზე შეკრებილმა 50 ათასმა მაყურებელმა ინგლისის ნაკრები მოედნიდან სტვენით გააცილა.

პოლონეთი — ირლანდია 3:3

პოზნანში ირლანდიის ნაკრებმა ხელიდან გაუშვა თითქმის უკვე მოპოვებული გამარჯვება. ირლანდიელებმა ანგარიში უკვე მე-10 წუთზე გახსნეს (მაკგრათი) და მინიმალური ანგარიშში მეორე ტაიმამდე შეინარჩუნეს. 56-ე წუთზე ჩაკოესკიმ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ თაუნსენდმა და კასკარინომ კვლავ წინ გაიყვანეს სტუმრები, შეხვედრის მიწურულს ირლანდიელებმა ყურადღება მოადუნეს და ორი ბურთი გაუშვეს (ფურტოკი და ურბანი).

ამ ჯგუფში ბოლო ტურის მატჩები 13 ნოემბერს შედგება: თურქეთი ირლანდიას უმასპინძლებს, ხოლო პოლონეთი — ინგლისს. ინგლისელებს ჯგუფში გამარჯვებისათვის ფრეც აძლევთ ხელს.

ინგლისი	5	3	2	0	6-2	8
ირლანდია	5	1	4	0	10-5	6
პოლონეთი	5	2	2	1	7-5	6
თურქეთი	5	0	0	5	0-11	0

ორი „ჩავარდნა“ გეგმაში

უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მიმდინარეობს მსოფლიო თასის მეორე გათამაშების მატჩები. გუნდებმა დაასრულეს წინასწარი შეხვედრები და ხვალიდან მეოთხედფინალები დაიწყება. საერთოდ, გათამაშება „გეგმის“ მიხედვით მიმდინარეობს, თუმცა ორი „ჩავარდნა“ გეგმაში უკვე მოხდა.

მთავარი სენსაცია მესამე ჯგუფში (ავსტრალია, უელსი, დასავლეთ სამოა, არგენტინა) მოხდა. ოკეანის პაწაწინა სახელმწიფოს — დასავლეთ სამოას (რომელიც მსოფლიო რუკაზე ლუპით თუ მოინახება) ნაკრებმა ჯერ შარშანდელი გათამაშების მესამე პრიზიორი და რაგბის ერთ-ერთი ბურჯი — უელსი დაამარცხა, შემდეგ არცთუ სუსტი არგენტინა, მინიმალური სხვაობით წააგო ავსტრალიასთან და მეოთხედფინალში გავიდა. ამ ქვეყნის რაგბის ერთი უცნაურობა სჭირს: იმის გამო რომ დასავლეთ სამოა კარგა ხნის მანძილზე ახალი ზელანდიის კოლონია იყო, ამ პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ საუკეთესო სამოელი მოთამაშეები ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშობენ (ამჟამად 10 მორაგბე). იქ ვერმოხვედრილები კი თავისი ქვეყნის ღირსებებს იცავენ და როგორც ვნახეთ რიგიანადაც.

ბოლო წლებში დაჩაჩანაკებული უელსი კი ახლა საბოლოოდ „გატყდა“. მან მ* ოლოდ ერთი მატჩი მოიგო და თავს იმით იმშვიდებს, რომ ეს მოგება მისთვის პირველია 1989 წლის მარტიდან საკუთარ სტადიონზე. ავსტრალია კი კონკურენციის გარეშე იყო.

მეორე ჯგუფში (საფრანგეთი, ფიჯი, კანადა, რუმინეთი) ყველაზე ბუნდოვანი სიტუაცია გახლდათ. შემდგომში ყველაფერი კიდევ უფრო აირდაირია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თასის გათამაშებაში მეხუთე ნომრად განთავსილმა ფიჯიელებმა სამივე მატჩი წააგეს, რითაც კანადელებს გზა გაუხსნეს მეოთხედფინალისაკენ. მათ კი აქ არავინ ელოდა. მეტი სენსაცია ამ ჯგუფში აღარ მომხდარა — ფრანგებმა უმტკივნეულოდ დაამარცხეს ყველა მეტოქე.

პირველ ჯგუფში (ახალი ზელანდია, ინგლისი, იტალია, აშშ). ყველამ თითქოს წინასწარ იცოდა თავისი ბედი. მსოფლიო თასის მფლობელმა ახალმა ზელანდიამ და „ხუთი ერის პირველობის“ წლევანდელმა ჩემპიონმა ინგლისმა თამაშ-თამაშ — „გადაუარეს“ აუტსაიდერებს და შემდგომ ეტაპზე აღმოჩნდნენ. იტალიამ ერთი კი გაიბრძოლა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ, მაგრამ... მარტო გაიბრძოლა და მეტი არაფერი.

მეორე ჯგუფშიც (შოტლანდია, ირლანდია, იაპონია, ზიმბაბვე) შოტლანდიას და ირლანდიას პრობლემა, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ. ორივემ გაანადგურა ზიმბაბვე, რაშიც მათ არც იაპონია ჩამორჩენიათ. ზიმბაბველთა ასეთი მარცხი ქართველ რაგბის მოყვარულებს ცოტა არ იყოს გვაშფოთებს. საქმე ისაა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამ გუნდთან სამი ტესტ-მატჩი აქვს ჩატარებული. ამით ერთი ხანი თავიც კი მოგვქონდა — მსოფლიო თასის მონაწილე გუნდების სწორები ვართო. ზიმბაბვეს გუნდს კი ვისაც არ დაეზარა, იმან მოუგო. უნდა ვიფიქროთ, ზიმბვამბველებიც დასუსტდნენ და ჩვენც „ათვლის წერტილად“ სხვა ქვეყანა ავიღოთ, თორემ ზიმბაბველებთან გატოლება შორს ვერ წაგვიყვანს. მეოთხედფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ახალი ზელანდია — კანადა, შოტლანდია — სამოა, ირლანდია — ავსტრალია, ინგლისი — საფრანგეთი. „გეგმის მიხედვით“ ახალი ზელანდია, შოტლანდია, ავსტრალია და ინგლისი ნახევარფინალში უნდა გავიდნენ, თუმცა რა ვიცით, რომ კიდევ რამდენიმე ჩავარდნა არ მოხდება?

მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ჯგუფური ტურნირის შედეგები

I ჯგუფი

ინგლისი — ახალი ზელანდია 12:18; იტალია — აშშ 30:9; ახალი ზელანდია — აშშ 46:6; ინგლისი — იტალია 36:6; ინგლისი — აშშ 37:9; ახალი ზელანდია — იტალია 31:21

1. ახალი ზელანდია — 6 ჭულა
2. ინგლისი — 4 ჭულა
3. იტალია — 2 ჭულა
4. აშშ — 0 ჭ ულა

II ჯგუფი

შოტლანდია — იაპონია 47:9, ირლანდია — ზიმბაბვე 55:11; შოტლანდია — ზიმბაბვე 52:12, ირლანდია — იაპონია 32:16, შოტლანდია — ირლანდია 24:15; ზიმბაბვე — იაპონია — 8:42;

1. შოტლანდია — 6 ჭულა
2. ირლანდია — 4 ჭულა
3. იაპონია — 2 ჭულა
4. ზიმბაბვე — 0 ჭულა

III ჯგუფი

ავსტრალია — არგენტინა 32:19; უელსი — დასავლეთ სამოა 13:16; უელსი — არგენტინა 16:7; ავსტრალია — დასავლეთ სამოა 9:3; უელსი — ავსტრალია 3:38; არგენტინა — დასავლეთ სამოა 12:35;

1. ავსტრალია — 6 ჭულა
2. დასავლეთ სამოა — 4 ჭულა
3. უელსი — 2 ჭულა
4. არგენტინა — 0 ჭულა

IV ჯგუფი

საფრანგეთი — რუმინეთი 30:3; ფიჯი — კანადა 3:13; საფრანგეთი — ფიჯი 33:9; კანადა — რუმინეთი 19:11; საფრანგეთი — კანადა 19:13; ფიჯი — რუმინეთი 15:17;

1. საფრანგეთი — 6 ჭულა
2. კანადა — 4 ჭულა
3. რუმინეთი — 2 ჭულა
4. ფიჯი — 0 ჭულა

სერჟ ბლანკო — საქმიანი კაცი

ამას წინათ ფრანგულ ჟურნალში „HUMANITE DIMANCHE“ დაიბეჭდა სტატია რაგბის სამყაროში მეტად პოპულარულ პიროვნებაზე, საფრანგეთის ნაკრების კაპიტან სერჟ ბლანკოზე. გთავაზობთ ამ სტატიას მცირედი შემოკლებით.

სერჟ ბლანკო

ს პიდომეტრის ისარი უახლოვდება 180 კმ/სთ-ან ნიშნულს. თითქმის არ არის დრო, რომ ადამიანის თვალმა მშვენიერი პეიზაჟი ჩაიბეჭდოს. მძღოლი იქექება თავის ტყავის ჩანთაში და თან სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. იგი ჩქარობს, ძალიან ჩქარობს.

გზაზე აღმართული სტენდი გვაცნობს, რომ ორლეანში ვართ. კიდევ ერთი საათი მოგზაურობის საბოლოო პუნქტამდე ბურჟამდე. ბურჟი ძველი ქალაქია. ცნობილი თავისი დიდებული ტაძრებითა და შესანიშნავი ჟაკ-კერის დარბაზით, მაგრამ ამ ბრწყინვალების დათვალიერება სხვა დროისათვის გადიდება. დღეს კი პროგრამა ძალიან დატვირთულია. სერჟს არ ვიწყდება, თუ რისთვის ჩამოვიდა აქ. სადილი, დისკუსიები, პერეტივი, გარიგებები, საქმიანი ხალხი ბურჟში კრიბება. შემდეგ, შემდეგ ავტოგრაფების მოცარულთა მრავალთასანი არმია. უკვე სხვ სახე, სხვა ღიმილი და ავტოგრაფები თავის საკუთარ ფოტოზე, განუყრელი ბერეთით ხელში, დამაჯერებლად რომ მიუკრავს კლუბ „ბიარიტცის“ წითელ მაისურზე.

სერჟ ბლანკოს ცხოვრება ძალიან სწრაფად მიდის. დღესაც ფიქრობს, რომ დროს უდანაკარგოდ გამოიყენებს. „აქედან იწყება ჩემი ბედნიერება“, — ამბობს ყოველისმარე იგი. „იმოქმედე ჩქარა და მიუწვდომელს მიაღწევ“ — აი, მისი ცხოვრების კრედო. ამიტომაც ხასხასა ბალახზე ვეტერანი რაგბისტი თავს ისევე გრძნობს, როგორც 17 წლის სისხლაჩქროლებული ყმაწვილი გაზაფხულზე. ამაში მას მაგიური სიტყვები ეხმარება: ცდა, სურვილი, შრომა, მონდომება.

ის 20 წლისაც არ იყო, როცა პირველად მოიზომა ცისფერი მაისური, რომელზედაც ვალური მამალი იყო გამოსახული. პირველად მატჩიდან იოპანესბურგში დღემდე თორმეტწლიანი ძვირფასი იდილია იშლება, მაგრამ ქარშხალივით ჩქარ სერჟ ბლანკოს, გული დღესაც იუნიორივით უძგერს. ისევე, როგორც სწო

XV ეტაპი

(20 ოქტომბერი)

იაპონია

1990 — ნელსონ პიკე
1989 — ალესანდრო ნანინი
1988 — აირტონ სენა
1987 — გერჰარდ ბერგერი
1986 — ———



ფორმულა 1 ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ამომავალი მზის ქვეყანაში ადრეც გამართულა. 15 წლის წინ იაპონიის „გრან პრი" ამერიკელმა მარიო ანდრეტიმ მოიგო, მომდევნო წელს კი ინგლისელმა ჯეიმს ჰანტმა მიაღწია წარმატებას. ამის შემდეგ იქ რბოლა 10 წელი აღარ ჩაუტარებიათ. 1987 წლიდან კი იაპონიის დიდი პრიზი რეგულარულად თამაშდება სუზუკას ავტოდრომზე. სწორედ ამ საკმაოდ დახლართულ ტრასაზე გადაწყდა ბოლო სამ წელს ჩემპიონობის ბედი. საინტერესოა, რომ სამივეჯერ ალენ პროსტი და აირტონ სენა იბრძოდნენ უძლიერესის სახელისათვის. 1988 წელს სწორედ „სუზუკაზე" გამარჯვების შემდეგ დაეუფლა სენა ჩემპიონის ტიტულს. შარშან და შარშანწინ კი ამ ორი სუპერ პილოტის დუელი შეჯახებით დამთავრდა. პირველ შემთხვევაში მსაჯებმა სენა დაადანაშაულეს და ჩემპიონობა პროსტმა მოიპოვა. შარშან კი პირველივე წრეზე ავარიის შედეგად ორივე მრბოლი გამოეთიშა ბრძოლას, ჩემპიონი კი იმ დროისათვის ლიდერი სენა გახდა.

„სუზუკას" 5859-მეტრიანი წრე საკმაოდ რთულია და ნელი. სარეკორდო სიჩქარე შარშანწინ განავითარა პროსტმა „მაკლარენით" — 203,785 კმ/სთ. ტრასაზე განსაკუთრებით სახიფათოა ლათინური „S" ასოს მსგავსი მეტად ჩახვეული მონაკვეთი. სულ რბოლისას პილოტებს 53 წრის გავლა უხდებათ; ეს კი 310,5 კმ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ფორმულის რბოლები დიდი პოპულარობით სარგებლობს — თითქმის ყოველთვის 200000-მდე მაყურებელი ესწრება.

ყველაზე ძვირადღირებული

მადრიდის „რეალის" კლუბის მიერ გამოცემული პრეს-ბიულეტენების ერთ-ერთ ბოლო ნომერში მოყვანილია ყველაზე ძვირი საფეხბურთო ტრანსფერების ნუსხა. მასში პირველ ნომრად შეყვანილია იტალიელი ბაჯო, რომელიც 1990 წელს „ფიორენტინამ" 25,3 მილიონ მარკად მიჰყიდა „იუვენტუსს". მეორე ადგილზეა გესქოინის გადასვლა „ტოტენჰემიდან" „ლაციოში" — 21,5 მილიონ მარკა. შემდეგ, ყველაზე ძვირადღებული ფეხბურთელების სია ასე გამოიყურება:

3. მარადონა 1984. „ბარსელონა" — „ნაპოლი" 21 მილიონი მარკა
4. მარადონა 1982. „ბოკა ხუნიორსი" — „ბარსელონა" 19,2 მლნ. მარკა
5. დეტარი 1988. „აინტრაჰტი" — „ოლიმპიაკოსი" 15,5 მლნ. მარკა
6. ჰესლერი 1990. „კიოლნი" — „იუვენტუსი" 15 მლნ. მარკა
7. სტოიკოვიჩი 1990 „ცრვენა ზვეზდა" — „მარსელი" 15 მლნ. მარკა
8. გულიტი 1987 „ეინდჰოვენი" — „მილანი" 15 მლნ. მარკა
9. უოდლი 1989. „ტოტენჰემი" — „მარსელი" 14 მლნ. მარკა.



რობერტო ბაჯო

იოჰან კრუიფი

ლეგენდარული იოჰან კრუიფი, „მფრინავ ჰოლანდიელთა" არანაკლებ ცნობილი გუნდის ლიდერი, კვლავ პრესის ყურადღების ცენტრშია. ეს გამოწვეულია მისი და ესპანეთის „ბარსელონის" ურთიერთობის მოულოდნელი განვითარებით. ვარაუდობენ, რომ კრუიფისათვის შარშანდელი სეზონი ამ კლუბში ბოლო იქნებოდა. მიმომხილველები ამის მტკიცებისას ეყრდნობოდნენ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მისი, როგორც მწვრთნელის წარმატებისა, იგი და გუნდის ხელმძღვანელობა ერთმანეთს არ წყალობდნენ. „ბარსელონის" პრეზიდენტს, ნუნიესს შინაური გამარჯვებები აღარ აკმაყოფილებდა, წარმატება თასების თასის გათამაშებაში კი უკვე ისტორია იყო. დღეს ნუნიესი ჩემპიონთა თასზე ოცნებობს. თასზე, რომელიც „ბარსელონას" არასდროს მოუპოვებია. „მეტი ლოდინი აღარ მსურს, ამის დრო გავიდა" — განაცხადა ამასწინათ კლუბის პრეზიდენტმა. ამ სიტყვებმა თებერვალში გულის ოპერაციაგადატანილი კრუიფი სტრესში ჩააგდო.



იოჰან კრუიფი (მარჯვნივ) და როლანდ კუმანი კლუბის რესტორანში

მიმომხილველთა აზრით, მას არ სურდა ამ ულტიმატუმის მიღება და დიდი სიამოვნებით დატოვებდა გუნდს, მაგრამ ჰოლანდიელი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა „ბარსელონის" მძევალი. მისი ახალი კონტრაქტი 1993 წლამდეა

«ბარსელონის» მძევალი

ძალაში და იგი 10 მილიონ მარკას მიიღებს. როგორც ჩანს, მისი წასვლა ფეხბურთელებსაც გაუხარდებოდათ, რადგან მათ „დიდი დიქტატორის" ატანა აღარ შეუძლიათ. კრუიფს მკაცრად უჭირავს ხელში ესპანეთის 11-გზის ჩემპიონი გუნდი და ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადებასაც ასევე მკაცრად აკონტროლებს. თავიანთი ექსპანსიური და ცვალებადი ხასიათის მქონე ბოსის ეშინიათ ისეთ ლიდერებსაც, როგორებიც არიან სტოიკოვიჩი, ხუან კარლოსი და გოიკოეჩეა.

თავად კრუიფი ამბობს, რომ ბოლო დროს იგი შეიცვალა, თუმცა ჟურნალისტების აზრით მან ვერ დაძლია პროფესიული ფეხბურთის გიჟური რიტმი და სისასტიკე. იგი ადრე დღეში 60-80 ღერ სიგარეტს ეწეოდა. ახლა კი საერთოდ არ ეწევა, ეს არის და ეს. დანარჩენ საკითხებში კრუიფი კრუიფად რჩება. ასეა თუ ისე კრუიფი „ბარსელონაში" რჩება. კლუბის მეპატრონეები კი „მძევლისაგან" ახალ, მნიშვნელოვან გამარჯვებებს ელიან.

ლარი ბიორდი

ზედიზედ ცხრაჯერ

ლეგენდარული თავდამსხმელი ლარი ბიორდი პროფესიულ კალათბურთში 1979 წელს ინდიანის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა. მან პირველი ნაბიჯებიდანვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება და აქედან მოყოლებული ზედიზედ ცხრა სეზონის მანძილზე უცვლელად ასახელებდნენ „ოლ-სტარზის" პირველ შემადგენლობაში, რაც ლარი ბიორდის მრავალრიცხოვან რეკორდთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავლისმთქმელია. ეს არის ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევა და ლარი ბიორდის მაღალი კლასის ყველაზე უტყუარი საბუთია. ამით ბიორდმა ფაქტობრივად გაიმეორა სახელგანთქმული ოსკარ რობერტსონის შედეგი. სხვათა შორის, უფრო უკეთესი მაჩვენებელი ბობ პეტიტს აქვს. იგი ათჯერ ზედიზედ იყო „ოლ-სტარზის" პირველ შემადგენლობაში.

მერაბ კალანდაძე

ყოჩაღ, ბაბუ

ფინეთის ქალაქ ტურკუში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან მძლეოსანთა შორის. შეჯიბრები ჩატარდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია „უხუცესთა" ასპარეზობამ, რომელთა ასაკიც სამოცდაათს იყო გადაცილებული. მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ინდოელმა ძ. სინგჰმა, რომელსაც წლის ბოლოს 99 წელი შეუსრულდება. ასაკის მიუხედავად მან საკმაოდ სწრაფად გაირბინა დისტანცია და ფინიშის ხაზი 20.82 წამში გადაკვეთა.

აქეთური, იქითური...

მუსულმან ქალებს თავიანთი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინების კარგი შანსი ეძლევათ. 1992 წლის იანვარში, თეირანში პირველად ჩატარდება კომპლექსური საერთაშორისო შეჯიბრებები მუსულმანური ქვეყნების ქალთა შორის. წინასწარი ცნობებით მოსალოდნელია, რომ ტურნირში 47 ქვეყანა გამოვა. პროგრამაშია კალათბურთი, ცურვა, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ტურნირის ორგანიზაცია დაევალა ირანის ეოკ-ის დირექტორს ვაჰზეჰ ხაშიმის. იგი სახელმწიფოს მეთაურის ქალიშვილია.

• • •

ტურინის საფეხბურთო კლუბმა „იუვენტუსმა" „ნადირობა" დაიწყო ზაგრების „დინამოს" ფეხბურთელ ზორან ბობანის მოსაპოვებლად. ტურინის კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, რომ ფეხბურთელის საფასურად გადაიხადოს 15 მილიონი მარკა. იუგოსლავიური მხარე, ჭორჭოლობით, თავს იკავებს კონტრაქტზე ხელის მოწერისგან, რადგანაც თვლის, რომ ბობანი გაცილებით უფრო ძვირი „ღირს", სულ მცირე 20 მილიონი მარკა მაინც.

• • •

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ავსტრალიელმა ბრაიან ტობინმა, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა ფრანგი ფილიპ შატრიე, მკაცრად გააკრიტიკა მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელი ქალები იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე ეროვნულ გუნდებში. ამ ტურნირის იგნორირებისათვის მათ ჩამოერთვათ 1992 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება. ბრაიან ტობინის განცხადებით ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მას ვერაფერი ვერ შეცვლის.

• • •

ქალთა ფეხბურთი დიდ ბრიტანეთში ოფიციალურად სცნეს 1970 წელს. მას შემდეგ ამ თამაშის პოპულარობა ინგლისელ ქალთა შორის დღითი-დღე იზრდება. ამჟამად რეგისტრირებულია 320 კლუბი, რომლებშიც 8500 ქალი თამაშობს. მშვენიერთა სქესისადმი დიდ ყურადღებას მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამას წინათ ინგლისის საფეხბურთო ფონდმა ქალთა ფეხბურთის ასოციაციას 150 გირვანქა სტერლინგი გადაურიცხა.

• • •

სულ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე ქალებისათვის სოფტბოლისა და ფრენბურთის გარდა სპორტის ყველა სახეობა აკრძალული იყო. მაგრამ დრონი იცვლებიან და სამხედრო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ცვლილებები შეეტანა ამ დებულებაში. ამიერიდან სამხედრო მოსამსახურე ქალებს შეუძლიათ იმეცადინონ სპორტის ყველა იმ სახეობაში, რომლებიც არმიაშია დანერგილი გარდა წყალბურთისა. ქალთა შორის სრულიად საარმიო თამაშების წლევანდელი გათამაშების პროგრამაში შეტანილია ძალოსნობა, კალათბურთი, ბოულინგი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, სოფტბოლი, ჩოგბურთი, გოლფი.

• • •

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი კატარინა ვიტი ახალი გამოსვლებისათვის ემზადება. ნოემბერში იგი მონაწილეობას მიიღებს ახალ ყინულოვან რევიუში „სქეითინგშოუ". მასთან ერთად გამოვლენ ბრაიან ბაიტანი (აშშ), ბრაიან ორსერი (კანადა) და სხვები. ოკეანის გაღმა გამგზავრებამდე დასი საჩვენებელ გამოსვლებს გამართავს გერმანიაში — ბრემენსა და ვიიდენეში.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.

კომერციული დირექტორი შოთა ჟუჟუნაძე.